ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი საქართველოში

გიორგი გოგოჩაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი:

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო კვლევის მეთოდების (იანვარი, 2023) კურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (ივნისი, 2023) “

გიორგი, გოგოჩაშვილი

აბსტრაქტი:

კომპანიები ხშირად დგებიან სხვადასხვა სახის გამოწვევის წინაშე. აღნიშნული უკავშირდება არა მხოლოდ მათ საქმიანობასა და მომხმარებლებთან ურთიერთობას, არამედ უშუალოდ დასაქმებულ პირებთან სათანადო და სწორი კომუნიკაციის დამყარებას. მსგავსი საკითხების მონიტორინგი წარმოადგენს ადამიანური რესურსების მენეჯერის მოვალეობას. რა თქმა უნდა, ამ ყოველივესთვის აღნიშნულ მენეჯერს სჭირდება სათანადო ცოდნა და უნარები.

საქართველოში არსებული პრაქტიკა ჯერ ისევ და ისევ დამუშავების პროცესში არის, რადგან ადამიანური რესურსების მექანიზმი არ არის სრულად განვითარებული და ინტეგრირებული სხვა, საერთაშორისო ქვეყნების პრაქტიკასთან. სწორედ ამიტომ არის განხილული ნაშრომში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აშშ-ში, გერმანიასა და სამხრეთ კორეაში არსებული მდგომარეობა. ამ ქვეყნებს ერთმანეთისგან განსხვავებული საერთო მიდგომა და პრაქტიკა გააჩნიათ მათი ტრადიციების, კანონმდებლობისა და თავისებურებებიდან გამომდინარე. თუმცა, ეს ყოველივე წარმოადგენს იმ უშუალო მაგალითს, თუ რა გამოწვევების წარმოქმნა არის შესაძლებელი სხვადასხვა პრაქტიკის გამოყენების დროს.

ნაშრომში ასევე ჩატარებული არის კვლევა, საქართველოს ფარგლებში. ეს კი მოიცავს ინფორმაციას ქვეყნის ფარგლებში კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების შეხედულებების შესახებ. ნაშრომში დეტალურად არის განხილული თითოეული საკითხი და ახსნილია ის, თუ რატომ არის საქართველოში არსებული ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი ეფექტური, თუმცა ჯერ ისევ საკმარისად არასრულყოფილი.